თბილისში ,,ვარდების რევოლუციის მოედნის“ მიმდებარედ, ყოფილი ,,ყურების“ ნანგრევების დემონტაჟის ნებართვის მისაღებად ჩვენს AR1149110 განაცხადზე თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული შუალედური #823870 გადაწყვეტილების შესაბამისად, განაცხადს თან ვურთავთ სადემონტაჟო სამუშაოების გენგეგმას, რომელზეც დატანილია მიწის ნაკვეთების საკადასტრო საზღვრები.

როგორც ნახაზიდან ჩანს, დემონტაჟის სამუშაოები უნდა წარიმართოს შპს ,,ახალი ოფისის“ (განმცხადებელი) საკუთრებაში მყოფ #01.15.04.001.002 ნაკვეთზე, და შპს ,,ცენტრ პლაზას“ საკუთრებაში მყოფ #01.15.04.001.007 ნაკვეთზე. მომიჯნავედ მდებარე ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა ატვირთულია განაცხადის შესაბამის გრაფაში.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ დემონტაჟის პროექტის პირველად ატვირთვისას განმარტებით ბარათში შეცდომით იქნა მოხსენიებული ,,გამაგრების სამუშაოები“ (იგულისხმებოდა ,,უსაფრთხოების ნორმების დაცვა“). ჩვენი განაცხადი ითვალისწინებს მხოლოდ სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარებას და მათზე ნებართვის მიღებას. გამაგრების თუ სხვა სამუშაოების საჭიროება დადგინდება და შესაბამისი პროექტი მომზადდება მოგვიანებით, როცა დემონტაჟის მეშვეობით გაშიშვლდება არსებული საძირკვლის კონსტრუქციები. ეს წარგედგინებათ მომავალში, შემდეგი ეტაპის მშენებლობის პროექტზე ნებართვის მისაღებად.

ამჯერად ვტვირთავთ კორექტირებულ დემონტაჟის პროექტს, რომლის განმარტებით ბარათში აღარ არის ნახსენები ,,გამაგრების სამუშაოები“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ განაცხადის სამუშაოთა წარმოების გრაფიკში არ შედის გამაგრებითი სამუშაოები.

განაცხადს თან ვურთავთ ,,ახალი ოფისის“ მიერ მარი ქოქიაშვილზე განმცხადებლის უფლებამოსილების მინიჭების ნოტარიალურად დამოწმებულ დოკუმენტსაც.



არსებული
გენგეგმა
საკადასტრო წითელი ხაზებით
ს.კ. 01.15.04.001.002
ს.კ. 01.15.04.001.007
482600m
4616900m

საქართველო
სანოტარო აქტი

2013 (ორიათას ცამეტი) წლის 2 აგვისტოს, მე, ნოტარიუსს, ეკატერინე გვანცელაძეს, ჩემს სანოტარო ოფისში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზირი №39ა, მომმართა: ნიკოლოზ სხირტლაძემ (დაბ. 02.08.1971წ., პირადობის მოწმობის №01089885, პირადი №01008014126, გაცემული: სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის მიერ 14.09.2007წ.) როგორც შპს „ახალი ოფისის" (საიდენტიფიკაციო კოდი 204559067) დირექტორმა, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „ახალი ოფისის" შესახებ, განაცხადის ნომერი 540920, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B12116060, ამონაწერის მომზადების თარიღი: 19/10/2012 11:46:26. მან მოითხოვა მინდობილობის დამოწმება ნოტარიული წესით. მე შევამოწმე ნიკოლოზ სხირტლაძის პირადობა, ქმედუნარიანობა, რის შემდეგ ნიკოლოზ სხირტლაძის ქმედუნარიანობაში და მისი ნების გამოვლენის სინამდვილეში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ ნიკოლოზ სხირტლაძემ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა თავისი ხელმოწერა, რასაც ვამოწმებ:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ნიკოლოზ სხირტლაძე (დაბ. 02.08.1971წ., პირადობის მოწმობის №01089885, პირადი №01008014126, გაცემული: სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის მიერ 14.09.2007წ.), როგორც შპს „ახალი ოფისის" (საიდენტიფიკაციო კოდი 204559067) დირექტორი

ვ ე ნ დ ო ბ ი

მარი ქოქიაშვილს (დაბ. 22.07.1978, პირადი №01023000872) მასზედ, რომ ის უფლებამოსილია იყოს ჩემი, როგორც შპს „ახალი ოფისის" დირექტორის წარმომადგენელი ყველა კერძო და სახელმწიფო ორგანოში, ნებისმიერ ფიზიკურ და (კერძო ან საჯარო სამართლის) იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში, ასევე, ის უფლებამოსილია ჩემს მაგივრად ჩემი როგორც შპს „ახალი ოფისის" დირექტორის სახელით ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში აწარმოოს ქ. თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე მიმდინარე საპროექტო/სამშენებლო სამაშუაოებისთვის აუცილებელი ყველა საჭირო მოქმედება, ამ მიზნით ხელი მოაწეროს ყველა შეთანხმებას/განაცხადს/საბუთს, ასევე შეიტანოს ყველა სახის განაცხადი (მათ შორის ელექტრონული ფორმით) ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში. ის უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია მოცემული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა ძალაშია გაცემის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

რაზედაც ვაწერ ხელს:

_____ ნიკოლოზ სხირტლაძე

გადახდილია სახელმწიფო მომსახურების ხარჯების თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა N 507 "სახელმწიფო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი ხაფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ფასების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა - 10 (ათი) ლარი, დღგ 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის - მუხლი 39 საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა N 507 "სახელმწიფო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი ხაფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ფასების დამტკიცების შესახებ". სულ გადახდილია 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი).

ნოტარიუსი *ეკატერინე გვანცელაძე*

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

83185124664913

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130787762

რეგისტრაციის თარიღი

02.08.2013 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე გვანცელაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39
ტელეფონი: 822 23-07-87

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18